სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. მცხეთა 18 თებერვალი 2014 წელი

ზურაბ აბესაძე – მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე-კომისიის თავმჯდომარე;

ზურაბ მარსაგიშვილი – მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ლია კანდელაკი - მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, არქიტექტურის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი;

ილია ოდიშელიძე – მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

გოგი აბუაშვილი - მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი;

გიორგი ხვისტანი - მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე;

ქეთევან ეკალაძე - მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი;

დღის წესრიგი:

ქ. მცხეთაში დასაპროექტებელი კოსტავასა და აღმაშენებლის ქუჩებს შორის ყოფილი კულტურის სახლისა და მიმდებარე სკვერის ადგილას ახალი დასასვენებელ-გასართობი პარკის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი კონკურსის საკონკურსო პირობების დამტკიცება.

გაეცნენ:

ქ. მცხეთაში დასაპროექტებელი კოსტავასა და აღმაშენებლის ქუჩებს შორის ყოფილი კულტურის სახლისა და მიმდებარე სკვერის ადგილას ახალი დასასვენებელ-გასართობი პარკის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი კონკურსის საკონკურსო პირობებს.

კომისიამ დაადგინა: დამტკიცდეს შემდეგი საკონკურსო განცხადების პირობები:

საკონკურსო განცხადება

1. მცხეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. **კონკურსის მიზანია ქ. მცხეთაში დასაპროექტებელი კოსტავასა და აღმაშენებლის ქუჩებს შორის ყოფილი კულტურის სახლისა და მიმდებარე სკვერის ადგილას ახალი დასასვენებელ-გასართობი პარკის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.** გამარჯვებულმა კონკურსანტმა დასრულებულ საპროექტო-სახარჯთაღროიცხვო დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოს აღნიშნულ **დოკუმენტაციაზე ექსპერტიზის დასკვნა,** რომლის ღირებულებაც ანაზღაურებული იქნება გამარჯვებული კონკურსანტის მიერ.
3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 4500 (ოთხი ათას ხუთასი ლარს დ.ღ.გ. ჩათვლით).
4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერზე (http://procurement.gov.ge)

5 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-4 ან მე-5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
7. დასაშვებია საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, რაზეც წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია, რომელიც გაცემული იქნება საბანკო დაწესებულების მიერ.
8. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

9 საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

10. **დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება და ესკიზური პროექტი უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 04 მარტს შემდეგ მისამართზე ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქუჩა №7.**
11. საკონკურსო წინადადება თანდართული დოკუმენტაციით წარმოდგენილი უნდა იქნას დალუქული კონვერტით.მონაწილეები არ დაესწრებიან კონკურსის გახილვას.
12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

13. საკონკურსო წინადადებასთან ერთად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:
• გენგეგმა, ესკიზი და განმარტებითი ბარათი;

• ინფორმაცია საბოლოო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ.
• საკონკურსო წინადადების ფასი.
• რეკვიზიტები.
14. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს საკონკურსო წინადადება, ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
15. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება 4500 (ოთხი ათას ხუთასი ლარს დ.ღ.გ. ჩათვლით) ლარს არ განიხილება.
16. გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა, მოხდება ქულებით შეფასების სისტემით: შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით, ხოლო შეფასების კოეფიციენტებია:
• ესკიზური პროექტი, გენგეგმა და განმარტებითი ბარათი-0.8
• საკონკურსო წინადადების ფასი-0.1
• პროექტის განხორციელების ვადა-0.1

კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკრსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.
17. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან ერთ თვეში სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის პაკეტის წარმოდგენა:
1. არქიტექტურული ნაწილი;
-საპროექტო ნაწილი;
-მუშა დოკუმენტაცია;
2.კონსტრუქციული ნაწილი
3. საინჟინრო ნაწილი ;
- შიდა ქსელები (ცივი და ცხელი წყალი, კანალიზაცია, ელ. მომარაგება, გაზმომარაგება, სუსტი დენები და სხვა..);
- გარე ქსელები (ცივი წყალი, კანალიზაცია, ელ. მომარაგება, გაზმომარაგება, სუსტი დენები და სხვა..);
4. ვერტიკალური გეგმარება;

5. ტერიტორიის კეთილმოწყობა;
6. დენდროლოგიური პროექტი;
7. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
18 გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები.
19. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ეგზემპლიარად ამასთან კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს. ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს SHP ფაილში ან „ავტოკადში".
20. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.
21. ესკიზური პროექტი უნდა შეიცავდეს „ტექნიური დავალებით" მოთხოვნილ მონაცემებს.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: ქ. მცხეთაში დასაპროექტებელი კოსტავასა და აღმაშენებლის ქუჩებს შორის ყოფილი კულტურის სახლისა და მიმდებარე სკვერის ადგილას ახალი დასასვენებელ-გასართობი პარკის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

ქ. მცხეთაში დასაპროექტებელი ტერიტორიის საკადასტრო კოდია: 72.07.07.838

ქალაქ მცხეთაში განსაზღვრულია კოსტავასა და აღმაშენებლის ქუჩებს შორის ყოფილი კულტურის სახლისა და მიმდებარე სკვერის ადგილას ახალი დასასვენებელ-გასართობი პარკის მშენებლობა.

განთავისუფლებულ ტერიტორიაზე და არსებული სკვერის ადგილას განსაზღვრულია განთავსდეს: მცირე ზომის კაფეტერია ღია ტერასით; საბავშვო გასართობი მოედანი; მოეწყოს ფეხმავალთა ბილიკები; განთავსდეს დასასვენებელი პარკებისთვის დამახასიათებელი მცირე ფორმები; განთავსდეს მოსასვენებელი სკამები და საჩრდილობლები; შესაძლებელია მოეწყოს მცირე შადრევანი; გათვალისწინებული უნდა იქნას მწვანე ნარგავებით ტერიტორიის კეთილმოწყობა; მოეწყოს ღამის განათება; პარკთან გათვალისწინებული უნდა იყოს ავტოსადგომი. პროექტში გათვალისწინებულ უნდა იქნას უნარშეზღუდულთა საჭიროებისათვის ყველა მოთხოვნა; დასასვენებელ-გასართობი პარკის სამხრეთ მხარეს გათვალისწინებულ იქნას ღობის მოწყობა;

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტების შესაბამისად.

ქ. მცხეთაში დასაპროექტებელი კოსტავასა და აღმაშენებლის ქუჩებს შორის ყოფილი კულტურის სახლისა და მიმდებარე სკვერის ადგილას ახალი დასასვენებელ-გასართობი პარკის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს--150 000 (ასორმოცდაათიათასი) ლარს.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები,დღგ-ს ჩათვლით.

მაქსიმალურად უნდა იქნეს შენარჩუნებული ნაკვეთზე მდებარე მრავალწლიანი ნარგავები.

მოცულობით-გეგმარებითი გადაწყვეტა.

პროექტში გათვალისწინებელი უნდა იყოს თანამედროვე არქიტექტურულ-გეგმარებითი, კონსტრუქციული და ტექნოლოგიური მოთხოვნები. გამოყენებული იქნეს თანამედროვე სამშენებლო მოსაპირკეთებელი მასალები, ყველა საჭირო უახლესი ტექნიკური აღჭურვილობა.

ესკიზური პროექტი უნდა მოიცავდეს:

- სიტუაციური გეგმა მასშტაბით: 1:2000
- გენერალური გეგმა მასშტაბით: 1:500
- ყველა ცალკეული მოცულობის და მცირე არქიტექტურული ფორმის გეგმები, მასშტაბით: 1:100
- ორი მახასიათებელი ჭრილი, მასშტაბით: 1:100
- ყველა ფასადი, მასშტაბით: 1:100 (შესრულებელი ფერში გამოსაყენებელი სამშენებლო მასალის მითითებით).
- ფოტომონტაჟში გამოყენებული უნდა იყოს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გაცემული ფოტოები;
- რენდერი ან სამგანზომილებიანი გამოსახულება მინიმუმ 2ც;
- CD დისკზე ჩაწერილი ელ. ვერსია;
- შესრულების მანერა თავისუფალია;

საკონკურსო პროექტი უნდა განთავსდეს A2 ზომის ფორმატებზე. ფორმატები დაკრული უნდა იყოს მსუბუქი მასალისგან დამზადებულ პლანშეტებზე. განსახილველ მასალას უნდა ახლდეს CD დისკზე ჩაწერილი ელ. ვერსია. პროექტის ძირითადი იდეები, პარამეტრები, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებები და სხვა ტექსტური მასალა მოცემული უნდა იყოს განმარტებით ბარათში. იგი თან უნდა ახლდეს ძირითად გრაფიკულ პლანშეტებს 4 ეგზემპლიარად.

თითოეულ წარმოდგენილ პლანშეტს, განმარტებით ბარათს და CD-ს მარჯვენა კუთხეში უნდა მიეწეროს 1 სმ სიდიდის ექვსნიშნა არათანმიმდევრული რიცხვი. იგივე რიცხვი უნდა ეწეროს დახურულ კონვერტზე, რომელშიც მოთავსდება მონაწილეთა მონაცემები.

საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი მისამართზე: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. #7, ტელ: 2-51-26-96

ელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. მცხეთა _____ 2014 წელი

ხელშეკრულების პროექტი

ერთის მხრივ მცხეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ატაშვილის სახით და მეორეს მხრივ,_____(შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი _____სახით, კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში –ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ქ. მცხეთაში დასაპროექტებელი კოსტავასა და აღმაშენებლის ქუჩებს შორის ყოფილი კულტურის სახლისა და მიმდებარე სკვერის ადგილას ახალი დასასვენებელ-გასართობი პარკის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს----------.

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.#7

5.2 მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 2014 წლის_____

6. მხარეთა უფლება- მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზერუნველყოს მიმწოდებელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7. 1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს _____

7.2 კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლემამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.~

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2014 წლის _____ და მოქმედებს 2014 წლის _____ ჩათვლით.

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

მცხეთის მუნიციპალიტეტი ,ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. #7
ს/კოდი: 236094196, სს `ლიბერთი ბანკის~ მცხეთის ფილიალი
ბ/კოდი: LBRTGE22
ა/ა GE93LB0120130269077000
Mმუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე
გ. ატაშვილი

აღნიშნულ პირობებს ვადასტურებთ ხელმოწერით:

კომისიის თავმჯდომარე: ზ. აბესაძე

კომისიის წევრები: ი. ოდიშელიძე

ლ. კანდელაკი

ზ. მარსაგიშვილი

გ. აბუაშვილი

გ. ხვისტანი

ქ. ეკალაძე